

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (ფასს-ები მსს-ებისთვის)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

1	კომპანია და მისი საქმიანობა	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3	მომზადების საფუძველი	5
4	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
5	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	11
6	ძირითადი საშუალებები	13
7	მარაგები	13
8	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
9	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	14
10	საწესდებო კაპიტალი.....	14
11	ნასესხები სახსრები.....	15
12	სავაჭრო და სხვა დავალიანებები	15
13	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15
14	სხვა საოპერაციო შემოსავალი და დანახარჯები	16
15	ფინანსური ხარჯები	16
16	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	16
17	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	11,997,813	8,411,288
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,977,813	8,411,288
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,406,219	1,545,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,049,312	527,084
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	9	203,890	854,589
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,659,421	2,926,865
სულ აქტივები		14,657,235	11,338,153
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	5,969,863	4,217,163
გაუნაწილებელი მოგება		249,632	518,582
სულ კაპიტალი		6,219,496	4,735,745
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	6,027,559	766,597
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	12	1,847,120	1,091,462
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,874,679	1,858,059
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	563,060	4,744,348
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		563,060	4,744,348
სულ ვალდებულებები		8,437,739	6,602,408
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,657,235	11,338,153

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 13 სექტემბერს.

ტარიელ შავერდაშვილი
დირექტორი

შპს „ჯორჯიან ფექიჯინგი“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		3,482,915	2,070,303
რეალიზაციის თვითღირებულება		(2,844,059)	(1,462,509)
მთლიანი მოგება		638,857	607,794
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(452,529)	(300,626)
დისტრიბუციის ხარჯი		(33,500)	(750)
სხვა საოპერაციო დანახარჯები	14	(5,020)	(95,535)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	14	355,807	529,748
საოპერაციო მოგება		503,614	740,630
ფინანსური ხარჯები	15	(772,564)	(541,412)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(268,950)	199,218
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		(268,950)	199,218
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(268,950)	199,218

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,217,163	319,364	2,536,527
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,000,000	-	2,000,000
წლის მოგება	-	199,218	199,218
სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის	2,000,000	199,218	2,199,218
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	4,217,163	518,582	4,735,745
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,752,700	-	1,752,700
წლის მოგება	-	(268,950)	(268,950)
სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის	1,752,700	(268,950)	1,483,750
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	5,959,863	249,632	6,219,495

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსულობა მომხმარებლებისგან	4,004,825	2,454,681
ფული სხვა ოპერაციებიდან	353,425	-
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(4,144,165)	(2,335,330)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	214,084	119,351
გადახდილი პროცენტი	(629,151)	(73,846)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები	(415,067)	45,505
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,935,714)	(4,838,766)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (მათში გამოყენებული)	(2,935,714)	4,838,766
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	2,035,338	3,431,979
გასული ნასესხები სახსრებისთვის	(1,098,450)	-
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	1,752,700	2,000,000
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,689,588	5,431,979
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა	10,493	(5,744)
წმინდა (შემცირება) /ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(650,700)	632,974
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	854,589	221,615
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	203,890	854,589

1 კომპანია და მისი საქმიანობა

ჯორჯიან ფექიჯინგი დაარსდა 2016 წლის 20 ოქტომბერს და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404521629. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც მდებარეობს საქართველოში და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს სეზანი (ს/კ; 203862551), რომელიც არის 1998 წელს დაფუძნებული სტამბა.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი იყო შპს სეზანი

ძირითადი საქმიანობა. კომპანია 2016 წლიდან არის საქართველოს ბაზარზე და არის ხარისხზე ორიენტირებული ქაღალდის შესაფუთი მასალების მწარმოებელი. ჯორჯიან ფექიჯინგის საწარმოო დანადგარები ძირითადად ჩამოტანილია გერმანიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან

საქმიანობის ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ვირსალამის ქუჩა 8, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია წერეთლის გამზირი 140, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლ").

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (ლ).

უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს).

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი იყო ამერიკული დოლარი (\$) 1 = 2.7722 და ევრო 1 = 3.1398 ლარს (2018: 1 აშშ დოლარი 2.5345 1 ევრო = 2.9913). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლიადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, მოთხოვნადე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფას-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. მიწას და მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
ქარხანა და დანადგარები	7 - დან 20-მდე
საოფისე აღჭურვილობა	5 - დან 10- მდე
ავტომობილები	5 - დან 10-მდე

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე .

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის მფლობელი საწარმოს მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიმდინარე გადასახადისგან და გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრი მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. გაურკვეველი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიშვებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საშემოსავლო გადასახადის პოზიციების კორექტირებები აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის საფასურში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დისკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების და დღგ-ს გარეშე. კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც კომპანია თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული რწმუნება, რომ გრანტი მიღებული იქნება და კომპანია შეასრულებს ყველა დაკავშირებულ პირობას. ის მიღებული გრანტები, რომლებთან დაკავშირებულ პირობებთან კომპანია ჯერ არ არის შესაბამისობაში აღიარდება, როგორც ვალდებულება (და შეტანილია გადავადებულ შემოსავალში სავაჭრო და სხვა დავალიანებების ნაწილში) და რეალიზდება შემოსავლად, მაშინ, როდესაც ყველა დაკავშირებული პირობა დაკმაყოფილებულია. მიღებული სახელმწიფო გრანტები შესულია „სხვა შემოსავალში“, მოგება-ზარალის ნაწილში.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება (შენიშვნა 11).

6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

ლარი	მიწა	ქარხანა და დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავტომობილები	სულ
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	3,155,526	2,139	-	5,200,870
დაგროვილი ცვეთა	-	(225,977)	(54)	-	(226,032)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	2,929,548	2,085	-	4,974,839
დამატებები	-	3,566,838	4,878	103,912	3,675,628
ცვეთის საფასური	-	(226,441)	(698)	(12,040)	(239,179)
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	6,722,363	7,017	103,912	8,876,499
დაგროვილი ცვეთა	-	(452,419)	(753)	(12,040)	(465,211)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	6,269,945	6,264	91,873	8,411,288
დამატებები	-	3,796,842	445	75,984	3,873,271
ცვეთის საფასური	-	(270,421)	(1,264)	(15,123)	(286,808)
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	10,519,205	7,462	179,896	12,749,769
დაგროვილი ცვეთა	-	(722,840)	(2,016)	(27,162)	(752,018)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	9,796,427	5,446	152,734	11,997,812

7 მარაგები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	1,168,195	1,120,290
მზა პროდუქცია	144,395	-
სამშენებლო მარაგები	93,628	424,902
სულ მარაგები	1,406,219	1,545,191

2019 და 2018 წლების საანგარიშო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად ლ 1,749 ათასი და ლ 750 ათასია.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	421,560	342,548
გადახდილი ავანსები	653,439	199,436
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	(25,686)	(14,900)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,049,312	527,084

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	24,017	9,207
მოთხოვნამდე დასაფარი ფულადი ნაშთები	179,873	845,383
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	203,890	854,589

მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები განთავსებულია საქართველოს ერთ-ერთ ლიდერ ბანკში, რომლის Moody-ს სარეიტინგო სისტემით შეფასებულია Ba3 რეიტინგით.

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „სეზანი“ და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6,219 ათას ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31 დეკემბერი: 4,736 ათასი ლარი)

კომპანიის მფლობელის 2019 წლის დადგენილების თანახმად, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1,753 ათასი ლარით, რაც სრულად იქნა გადახდილი ფულის სახით.

2019 და 2018 წლის განმავლობაში დივიდენდები არ არის არც გამოცხადებული და არც გადახდილი.

11 ნასესხები სახსრები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ბანკიდან	6,027,559	719,820
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები ბანკიდან	-	4,744,348
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან	563,060	46,777
სულ ნასესხები სახსრები	6,590,619	5,510,945

12 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

ლარი	31 დეკემბრის მდგომარეობით	31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო დავალიანებები	1,758,593	1,153,539
მიღებული ავანსები	14,140	4,967
საგადასახადო დავალიანება	74,387	(67,043)
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანებები	1,847,120	1,091,462

13 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ლარი	2019	2018
თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯი	242,144	92,625
გადასახადების მოგების გადასახადის გარდა	83,819	46,599
მივლინების ხარჯები	75,300	132,223
უიმედო ვალის ხარჯი	10,786	14,900
სხვა	40,480	14,279
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	452,529	300,626

14 სხვა საოპერაციო შემოსავალი და დანახარჯები

ლარი	2019	2018
მიღებული სახელმწიფო დაფინანსება	353,425	452,630
ვალუტის გადაფასებით მიღებული სარგებელი (სესხების გარდა)	2,382	(18,072)
სხვა	(5,020)	(346)
სულ სხვა საოპერაციო დანახარჯები და შემოსავალი	350,787	434,212

15 ფინანსური ხარჯები

ლარი	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	689,267	530,129
ვალუტის გაცვლის ზარალი, წმინდად , სესხებიდან	83,297	11,283
სულ ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	772,564	541,412

16 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში..

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც, ძირითადად, დაკავშირებულია მის მიერ თიბისი ბანკისგან ნასესხებ სახსრებთან. მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ჯგუფისათვის, მათ შორის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო შესაბამისობაში გარკვეულ შეთანხმებულ ფინანსურ პირობებთან სს თიბისი ბანკთან სასესხო შეთანხმების მიხედვით. კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან მიიღო შეთანხმებული პირობების დარღვევის შესახებ პრეტენზიაზე უარი, რაც ბანკების მიერ შესაბამისი სასესხო შეთანხმების მიხედვით განსაზღვრული დეფოლტის წინაპირობად არ ჩაითვალა.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს. 2020 წლის პირველ რამოდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა. ვინაიდან ეს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოცემისას ჯერ ისევ განვითარების ეტაპზე მყოფი გარემოებაა, მას კომპანიის ამონაგებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებითი გავლენის არსებობას მისი საქმიანობის ბუნების და ახალი ტიპის საქონლის წარმოების დაწყების გამო, რომელიც დაკავშირებულია არსებულ საჭიროებებთან, განსაკუთრებით სახის ფარები, ნიღბები და დაბეჭდილი ქაღალდის ჭიქები. საგანგებო მდგომარეობის დროს, ადმინისტრაციული პერსონალი და ის თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, მუშაობდნენ დისტანციურად. კომპანიაში სამუშაოები გაგრძელდა და გათვალისწინებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა საჭირო ზომები და რეკომენდაციები. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (ფასს-ები მსს-ებისთვის)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

1	კომპანია და მისი საქმიანობა.....	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო.....	5
3	მომზადების საფუძველი.....	5
4	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	6
5	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	11
6	ძირითადი საშუალებები.....	13
7	მარაგები.....	13
8	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
9	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	14
10	საწესდებო კაპიტალი.....	14
11	ნასესხები სახსრები.....	15
12	სავაჭრო და სხვა დავალიანებები.....	15
13	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები.....	15
14	სხვა საოპერაციო შემოსავალი და დანახარჯები.....	16
15	ფინანსური ხარჯები.....	16
16	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	16
17	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	11,997,813	8,411,288
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,977,813	8,411,288
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,406,219	1,545,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,049,312	527,084
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	9	203,890	854,589
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,659,421	2,926,865
სულ აქტივები		14,657,235	11,338,153
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	10	5,969,863	4,217,163
		249,632	518,582
სულ კაპიტალი		6,219,496	4,735,745
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	6,027,559	766,597
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	12	1,847,120	1,091,462
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,874,679	1,858,059
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	563,060	4,744,348
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		563,060	4,744,348
სულ ვალდებულებები		8,437,739	6,602,408
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,657,235	11,338,153

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 13 სექტემბერს.


ტარიელ შავერდაშვილი
დირექტორი

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები			
რეალიზაციის თვითღირებულება		3,482,915 (2,844,059)	2,070,303 (1,462,509)
მთლიანი მოგება		638,857	607,794
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(452,529)	(300,626)
დისტრიბუციის ხარჯი		(33,500)	(750)
სხვა საოპერაციო დანახარჯები	14	(5,020)	(95,535)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	14	355,807	529,748
საოპერაციო მოგება		503,614	740,630
ფინანსური ხარჯები	15	(772,564)	(541,412)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(268,950)	199,218
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		(268,950)	199,218
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(268,950)	199,218

ქ. ჯორჯიანი


შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,217,163	319,364	2,536,527
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,000,000	-	2,000,000
წლის მოგება	-	199,218	199,218
სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის	2,000,000	199,218	2,199,218
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	4,217,163	518,582	4,735,745
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,752,700	-	1,752,700
წლის მოგება	-	(268,950)	(268,950)
სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის	1,752,700	(268,950)	1,483,750
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	5,959,863	249,632	6,219,495



შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ლარი	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსულობა მომხმარებლებისგან	4,004,825	2,454,681
ფული სხვა ოპერაციებიდან	353,425	-
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(4,144,165)	(2,335,330)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	214,084	119,351
გადახდილი პროცენტი	(629,151)	(73,846)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები	(415,067)	45,505
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,935,714)	(4,838,766)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (მათში გამოყენებული)	(2,935,714)	4,838,766
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	2,035,338	3,431,979
გასული ნასესხები სახსრებისთვის	(1,098,450)	-
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	1,752,700	2,000,000
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,689,588	5,431,979
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა	10,493	(5,744)
წმინდა (შემცირება) /ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(650,700)	632,974
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	854,589	221,615
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	203,890	854,589



1 კომპანია და მისი საქმიანობა

ჯორჯიან ფექიჯინგი დაარსდა 2016 წლის 20 ოქტომბერს და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404521629. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც მდებარეობს საქართველოში და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს სეზანი (ს/კ: 203862551), რომელიც არის 1998 წელს დაფუძნებული სტამბა.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი იყო შპს სეზანი

ძირითადი საქმიანობა. კომპანია 2016 წლიდან არის საქართველოს ბაზარზე და არის ხარისხზე ორიენტირებული ქაღალდის შესაფუთი მასალების მწარმოებელი. ჯორჯიან ფექიჯინგის საწარმოო დანადგარები ძირითადად ჩამოტანილია გერმანიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან

საქმიანობის ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ვირსალაძის ქუჩა 8, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია წერეთლის გამზირი 140, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლ").

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

შ. სეზანი

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (ლ).

უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს).

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი იყო ამერიკული დოლარი (\$) 1 = 2.7722 და ევრო 1 = 3.1398 ლარს (2018: 1 აშშ დოლარი 2.5345 1 ევრო = 2.9913). ამავდროულად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლიადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

10 პენელაძე

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარჩებებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა მიწას და მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ქარხანა და დანადგარები
საოფისე აღჭურვილობა
ავტომობილები

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
7 - დან 20-მდე
5 - დან 10- მდე
5 - დან 10-მდე

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ქ. გეგმაძი. ლ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის მფლობელი საწარმოს მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიმდინარე გადასახადისგან და გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

10 გენერალ

4 სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სადრიცხო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანულირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანულირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. გაურკვეველი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიშვებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

პ. ჯორჯიანი

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საშემოსავლო გადასახადის პოზიციების კორექტირებები აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის საფასურში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დისკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების და დღგ-ს გარეშე. კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც კომპანია თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

პ. ბერძენიშვილი

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული რწმუნება, რომ გრანტი მიღებული იქნება და კომპანია შეასრულებს ყველა დაკავშირებულ პირობას. ის მიღებული გრანტები, რომლებთან დაკავშირებულ პირობებთან კომპანია ჯერ არ არის შესაბამისობაში აღიარდება, როგორც ვალდებულება (და შეტანილია გადავადებულ შემოსავალში სავაჭრო და სხვა დავალიანებების ნაწილში) და რეალიზდება შემოსავლად, მაშინ, როდესაც ყველა დაკავშირებული პირობა დაკმაყოფილებულია. მიღებული სახელმწიფო გრანტები შესულია „სხვა შემოსავალში“, მოგება-ზარალის ნაწილში.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება (შენიშვნა 11).

ქ. ჯორჯიანი

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

ლარი	მიწა	ქარხანა და დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავტომობილები	სულ
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	2,043,206 -	3,155,526 (225,977)	2,139 (54)	- -	5,200,870 (226,032)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	2,929,548	2,085	-	4,974,839
დამატებები ცვეთის საფასური	- -	3,566,838 (226,441)	4,878 (698)	103,912 (12,040)	3,675,628 (239,179)
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	2,043,206 -	6,722,363 (452,419)	7,017 (753)	103,912 (12,040)	8,876,499 (465,211)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	6,269,945	6,264	91,873	8,411,288
დამატებები ცვეთის საფასური	- -	3,796,842 (270,421)	445 (1,264)	75,984 (15,123)	3,873,271 (286,808)
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	2,043,206 -	10,519,205 (722,840)	7,462 (2,016)	179,896 (27,162)	12,749,769 (752,018)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	2,043,206	9,796,427	5,446	152,734	11,997,812

7 მარაგები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული		
მზა პროდუქცია	1,168,195	1,120,290
სამშენებლო მარაგები	144,395 93,628	- 424,902
სულ მარაგები	1,406,219	1,545,191

2019 და 2018 წლების საანგარიშო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად ლ 1,749 ათასი და ლ 750 ათასია.

ქ. ჯორჯიანი

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	421,560	342,548
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	653,439 (25,686)	199,436 (14,900)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,049,312	527,084

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული		
მოთხოვნამდე დასაფარი ფულადი ნაშთები	24,017 179,873	9,207 845,383
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	203,890	854,589

მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები განთავსებულია საქართველოს ერთ-ერთ ლიდერ ბანკში, რომლის Moody-ს სარეიტინგო სისტემით შეფასებულია Ba3 რეიტინგით.

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „სეზანი“ და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 6,219 ათას ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31 დეკემბერი: 4,736 ათასი ლარი)

კომპანიის მფლობელის 2019 წლის დადგენილების თანახმად, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1,753 ათასი ლარით, რაც სრულად იქნა გადახდილი ფულის სახით.

2019 და 2018 წლის განმავლობაში დივიდენდები არ არის არც გამოცხადებული და არც გადახდილი.

გ. გ. გ. გ.

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

11 ნასესხები სახსრები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ბანკიდან	6,027,559	719,820
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები ბანკიდან	-	4,744,348
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან	563,060	46,777
სულ ნასესხები სახსრები	6,590,619	5,510,945

12 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

ლარი	31 დეკემბრის მდგომარეობით	31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო დავალიანებები	1,758,593	1,153,539
მიღებული ავანსები	14,140	4,967
საგადასახადო დავალიანება	74,387	(67,043)
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანებები	1,847,120	1,091,462

13 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ლარი	2019	2018
თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯი	242,144	92,625
გადასახადების მოგების გადასახადის გარდა	83,819	46,599
მივლინების ხარჯები	75,300	132,223
უიმედო ვალის ხარჯი	10,786	14,900
სხვა	40,480	14,279
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	452,529	300,626

ქ. ჭავჭავაძე

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

14 სხვა საოპერაციო შემოსავალი და დანახარჯები

ლარი	2019	2018
მიღებული სახელმწიფო დაფინანსება	353,425	452,630
ვალუტის გადაფასებით მიღებული სარგებელი (სესხების გარდა)	2,382	(18,072)
სხვა	(5,020)	(346)
სულ სხვა საოპერაციო დანახარჯები და შემოსავალი	350,787	434,212

15 ფინანსური ხარჯები

ლარი	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	689,267	530,129
ვალუტის გაცვლის ზარალი, წმინდად , სესხებიდან	83,297	11,283
სულ ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	772,564	541,412

16 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში..

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ქ. ჯორჯიანი

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც, ძირითადად, დაკავშირებულია მის მიერ თიბისი ბანკისგან ნასესხებ სახსრებთან. მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ჯგუფისათვის, მათ შორის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო შესაბამისობაში გარკვეულ შეთანხმებულ ფინანსურ პირობებთან სს თიბისი ბანკთან სასესხო შეთანხმების მიხედვით. კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან მიიღო შეთანხმებული პირობების დარღვევის შესახებ პრეტენზიაზე უარი, რაც ბანკების მიერ შესაბამისი სასესხო შეთანხმების მიხედვით განსაზღვრული დეფოლტის წინაპირობად არ ჩაითვალა.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს. 2020 წლის პირველ რამოდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა. ვინაიდან ეს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოცემისას ჯერ ისევ განვითარების ეტაპზე მყოფი გარემოებაა, მას კომპანიის ამონაგებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებითი გავლენის არსებობას მისი საქმიანობის ბუნების და ახალი ტიპის საქონლის წარმოების დაწყების გამო, რომელიც დაკავშირებულია არსებულ საჭიროებებთან, განსაკუთრებით სახის ფარები, ნიღბები და დაბეჭდილი ქაღალდის ჭიქები. საგანგებო მდგომარეობის დროს, ადმინისტრაციული პერსონალი და ის თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, მუშაობდნენ დისტანციურად. კომპანიაში სამუშაოები გაგრძელდა და გათვალისწინებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა საჭირო ზომები და რეკომენდაციები. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

ქ. ჯორჯიანი